



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1177

14/06/2018

ქალაქი ბათუმი

1177-05-4-201806141731



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-სათვის სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეძენილი ქონების მიმღები კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 მაისის №1038 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მერიის განათლების და კულტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მადონა დავითაძის 2018 წლის 11 ივნისის №1655-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-სათვის სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შეძენილი ქონების მიმღები კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 მაისის №1038 ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების და კულტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

